ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4672002

ნომერი: AR1704263

თარიღი : 01.09.2019

გაცემის თარიღი : 16.09.2019

გაცნობის თარიღი : 16.09.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N55 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N55ა ; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N57 ; ქალაქი თბილისი , კონსტანტინე სტანისლავსკის ქუჩა N1ა; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N59;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მირცხულავა პ/ნ 01024058204
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 18 ბ. 133

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სავაჭრო ობიექტები
  - მაღაზია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა

დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 01 სექტემბრის #AR1704263 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.13.05.003.154 მიწის ნაკვეთზე მაღაზიის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. ვინაიდან პროექტის შეთანხმების სტადიაზე, ნაცვლად რეკონსტრუქციისა საკითხი უნდა დააყენოთ ახალი მშენებლობის კუთხით, ნაცვლად რეკონსტრუქციისა, ობიექტის ფუნქციური დანიშნულების ქმედებების ველში მიუთითეთ ახალი მშენებლობა.

2. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება შენობები, საჭიროა განმარტოთ აღნიშნული შენობების კანონიერება და მიუთითოთ შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომრები.

3. წარმოდგენილი განაცხადი გადაგზავნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში პოზიციის დასაფიქსირებლად, რომლის პასუხსაც გაცნობებთ დამატებით. აღნიშნული პოზიციის მიღებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.